
შპს ასპ-გრუპი
(ს/ნ 406217721)

*ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
ანგარიშგება ფინანსური შედეგების შესახებ	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი აღწერა	6
2. წარდგენის საფუძველი	6
3. ფული და ფულის ეკვივალენტები	6
4. უცხოური ვალუტა.....	7
5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7
6. გრძელვადიანი აქტივები.....	7
7. ცვლილება ძირითად საშუალებებში.....	9
8. ცვლილება არამატერიალურ აქტივებში.....	9
9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	10
10. ამონაგები	10
13. გადასახადები.....	11
14. კაპიტალი	11

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	მენიშ ნა	31-Dec- 2021	31-Dec- 2020
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	121 097	68 893
სავაჭრო მოთხოვნები		817 666	275 598
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		1 251 822	459 033
მარაგები	5	5 629 431	4 673 556
- საქონელი		5 516 428	4 606 822
- სხვა		113 002	66 734
სხვა მიმდინარე აქტივები		150 387	36 320
სხვა არამატერიალური აქტივები	8	7 655	3 654
ძირითადი საშუალებები	7	3 559 254	1 628 380
სულ აქტივები		11 537 310	7 145 435
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		494 968	945 212
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		54 977	28 497
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		228 500	(0)
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	2 775 560	1 494 110
სხვა ვალდებულებები		1 874 836	162 759
სულ ვალდებულებები		5 428 841	2 630 578
საკუთარი კაპიტალი	14		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		38 500	38 500
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		6 069 970	4 476 357
სულ საკუთარი კაპიტალი		6 108 470	4 514 857
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		11 537 311	7 145 435

ანგარიშგება ფინანსური შედეგების შესახებ

2021 წელი

დასახელება	შენიშვნა	თანხა
ნეტო ამონაგები	10	12 840 491
საქონლის გაყიდვიდან		11 491 881
მომსახურების გაწევიდან		1 348 610
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(7 961 716)
საწყისი მარაგები		(4 673 556)
მარაგების შესყიდვა		(8 917 591)
საბოლოო მარაგები		5 629 431
საერთო მოგება		4 878 775
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1 408 983)
ცვეთა და ამორტიზაცია	7, 8	(189 728)
საპროცენტო ხარჯი :	9	(359 321)
იჯარის ხარჯი		(210 925)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11	(540 178)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2 709 134)
საოპერაციო მოგება		2 169 640
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		(41 586)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	12	40 571
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		2 168 625
მოგების გადასახადი	13	(28 276)
მოგება/(ზარალი)		2 140 349

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2021 წელი

დასახელება	შენიშვნა	თანხა
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		4 514 857
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	14	(546 737)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	14	2 140 349
კაპიტალის სხვა ცვლილებები	14	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		6 108 470

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი აღწერა

შპს ასპ-გრუპი (ს/ნ 406217721) (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2017 წლის 24 ივლისს და 2017 წლის 25 ივლისიდან დარეგისტრირდა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორები არიან: დავით კეჟერაშვილი (პ/ნ 12002000951), ზაზა ენუქიძე (პ/ნ 01003010003) და ზურაბ სეფიაშვილი (პ/ნ 01012010586). კომპანიის 75%-იანი წილს ფლობს დავით კეჟერაშვილი (პ/ნ 12002000951), 12,5%-იანი წილს - ზაზა ენუქიძე (პ/ნ 01003010003), ხოლო 12,5%-იანი წილს - ზურაბ სეფიაშვილი (პ/ნ 01012010586).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ჯავახეთის ქუჩა N142.

შპს ასპ-გრუპის საქმიანობის საგანს წარმოადგენს ავტომობილების, სოფლის მეურნეობის, სამშენებლო და სპეც-დანიშნულების ტექნიკის რეალიზაცია, მასთან დაკავშირებული სათადარიგო ნაწილების იმპორტი და სრული სერვისული მომსახურების გაწევა.

2. წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად. ქვემოთ განიხილება სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი დებულებები. დართული ფინანსური ანგარიშები მოყვანილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონირების ძირითად ვალუტას.

3. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს კომპანიის სალაროში და საბანკო ანგარიშებზე რიცხულ თანხას.

4. უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციები გადაანგარიშდება ქართულ ლარში, ოპერაციის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლის ოფიციალური კურსით. წინანმდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ფული და ვალდებულებები გადაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული კურსით. ქვემოთ მოყვანილია ლარის კურსი ძირითადი უცხოური ვალუტის მიმართ 2020 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

თარიღი	USD	EUR	CNY
31.12.2020	3.2766	4.0233	0.50215
31.12.2020	3.0976	3.5040	0.48592

ცხრილი 4.1. უცხოური ვალუტის კურსები ლართან მიმართებაში 2020 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო მარაგების თვითღირებულების განსასაზღვრად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი.

6. გრძელვადიანი აქტივები

კომპანიის გრძელვადიან აქტივებს წარმოადგენს ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა აღემატება 1 წელს.

ძირითადი საშუალების ღირებულება განისაზღვრება ძირითადი საშუალების შემენის მომენტში გაწეული დანახარჯებით, რომელიც მოიცავს აქტივის შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟს, დაუბრუნებელ გადასახადებს, ნებისმიერ დანახარჯს რომელიც პირდაპირაა

დაკავშირებული ძირითადი საშუალების დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და მუშა მდგომარეობაში მოყვანასთან.

კომპანია ძირითად საშუალებებს ცვეთას არიცხავს შემცირებადი ნაშთის მეთოდით, შემდეგი საპროცენტო განაკვეთებით:

ძირითად საშუალებათა ჯგუფი	ცვეთის ნორმა
შენობა-ნაგებობა	5%
მანქანა-დანადგარები	8-20%
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
სხვა	8-20%

ცხრილი 6.1 ძირითად საშუალებებზე გამოყენებული ცვეთის ნორმები

არამატერიალურ აქტივებს, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა ცნობილია, ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ხოლო, იმ არამატერიალურ აქტივებს რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა უცნობია, სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

7. ცვლილება ძირითად საშუალებებში

აღწერა	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობა	მანქანა- დანადგარე ბი	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
ნაშთი 2021 წლის 01 იანვრისთვის	404 923	822 953	252 886	237 774	325 730	39 848	2 084 115
დამატება	835 336	2 047 136	260 740	96 644	64 907	7 454	3 312 217
გასვლა		1 168 296	19 551	6 724	20 342	2 976	1 217 889
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	1 240 258	1 701 794	494 075	327 694	370 295	44 326	4 178 442
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი							
ნაშთი 2021 წლის 01 იანვრისთვის	-	88 747	133 738	98 806	116 757	17 687	455 734
წლის ცვეთა		49 443	40 564	39 888	53 381	5 456	188 732
ჩამოწერა			1 293	8 396	13 916	1 674	25 279
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	-	138 190	173 009	130 298	156 222	21 469	619 188
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2021 წლის 01 იანვრისთვის	404 923	734 207	119 148	138 968	208 973	22 161	1 628 380
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	1 240 258	1 563 604	321 066	197 396	214 073	22 856	3 559 254

8. ცვლილება არამატერიალურ აქტივებში

აღწერა	საბუღალტრო პროგრამები	ელექტრონული შტამპი	სულ
ნაშთი 2021 წლის 01 იანვრისთვის	4 746	212	4 958
დამატება	4 746	250	4 996
გასვლა			-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	9 492	462	9 953
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი			-
			-
			-
ნაშთი 2021 წლის 01 იანვრისთვის	1 261	42	1 303
წლის ცვეთა	949	46	995
ჩამოწერა			-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	2 210	89	2 299
წმინდა საბალანსო ღირებულება			-
			-
2021 წლის 01 იანვრისთვის	3 485	169	3 654
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	7 281	373	7 655

9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები ფორმირებულია საბანკო სესხების სახით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იქნა გაწეული.

10. ამონაგები

კომპანიის ამონაგები მოიცავს შემოსავალს საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან. საქონლის რეალიზაციიდან შემოსავალი აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ხოლო, მომსახურების გაწევისას - როდესაც კომპანია მყიდველის წინაშე შეასრულებს ხელშეკრულებით ან/და შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

11. ხარჯები

კომპანია ხარჯებს აღიარებს დარიცხვის მეთოდით, მათი გაწევისთანავე. წინამდებარე ანგარიშგებაში ხარჯები წარმოდგენილია მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯის მუხლი მოიცავს ისეთ ხარჯებს, როგორიცაა: საქონლისა და მომსახურების მიწოდების ხარჯი (115 133 ლარი), კომუნალური ხარჯი (33 048 ლარი), კომუნიკაციის ხარჯი (47 148 ლარი), საბანკო მომსახურების ხარჯი (27 951 ლარი), რეკლამის ხარჯი (44 508 ლარი), ძირითადი საშუალებების მოვლისა და შენახვის ხარჯი (37 900 ლარი) და სხვ.

12. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯის მუხლში მოცემულია ისეთი არასაოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების გავლენის ნეტო შედეგი, როგორიცაა უსასყიდლოდ მიღებული საქონელი (30 431 ლარი), ძირითადი საშუალებების რეალიზაცია და სხვ.

13. გადასახადები

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადს იხდის როგორც მოგების განაწილების შემთხვევაში, ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-98-ე მუხლებით განსაზღვრულ შემთხვევებშიც. ამასთან, კომპანიას მოგების განაწილებისას წარმოეშება ჩათვლის უფლება 2017 წლის 01 იანვრამდე არსებულ პერიოდში ყოველწლიური მოგების გადასახადის წესით დარიცხულ და გადახდილ მოგების გადასახადზე.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა კომპანიას აკისრებს ვალდებულებას შეასრულოს საგადასახადო აგენტის ფუნქცია, რაც გულისხმობს დაიანგარიშოს, გადახდის წყაროსთან დააკავოს და ბიუჯეტში შეიტანოს საშემოსავლო გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის სახელფასო ვალდებულებების შესრულებასთან. ასევე, კომპანია ასრულებს ყველა საგადასახადო ვალდებულებას, რაც მოითხოვება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით.

14. კაპიტალი

კომპანიის საკუთარი კაპიტალი ფორმირებულია სადამფუძნებლო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. საანგარიშგებო პერიოდში საკუთარ კაპიტალში ცვლილება გამოწვეულია როგორც საანგარიშგებო პერიოდში მიღებული მოგებითა და დივიდენდების გაცემით (546 737 ლარი).

აღსანიშნავია, რომ გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი არაარსებითად შეიცვალა, რაც გამოწვეულია სავაჭრო მოთხოვნების, კრედიტორული დავალიანებისა და საქონლის საბოლოო ნაშთის თვითღირებულების დაზუსტებითა და საბუღალტრო პროგრამის ტექნიკური ხარვეზებით.

შპს ასპ-გრუპის დირექტორი,

/-----/

შპს ასპ-გრუპის მთავარი ბუღალტერი,

/-----/

13. გადასახადები

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადს იხდის როგორც მოგების განაწილების შემთხვევაში, ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-98-ე მუხლებით განსაზღვრულ შემთხვევებშიც. ამასთან, კომპანიას მოგების განაწილებისას წარმოეშევა ჩათვლის უფლება 2017 წლის 01 იანვრამდე არსებულ პერიოდში ყოველწლიური მოგების გადასახადის წესით დარიცხულ და გადახდილ მოგების გადასახადზე.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა კომპანიას აკისრებს ვალდებულებას შეასრულოს საგადასახადო აგენტის ფუნქცია, რაც გულისხმობს დაიანგარიშოს, გადახდის წყაროსთან დაკავოს და ბიუჯეტში შეიტანოს საშემოსავლო გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის სახელფასო ვალდებულებების შესრულებასთან. ასევე, კომპანია ასრულებს ყველა საგადასახადო ვალდებულებას, რაც მოითხოვება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით.

14. კაპიტალი

კომპანიის საკუთარი კაპიტალი ფორმირებულია სადამფუძნებლო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. საანგარიშგებო პერიოდში საკუთარ კაპიტალში ცვლილება გამოწვეულია როგორც საანგარიშგებო პერიოდში მიღებული მოგებითა და დივიდენდების გაცემით (546 737 ლარი).

აღსანიშნავია, რომ გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი არაარსებითად შეიცვალა, რაც გამოწვეულია სავაჭრო მოთხოვნების, კრედიტორული დავალიანებისა და საქონლის საბოლოო ნაშთის თვითღირებულების დაზუსტებითა და საბუღალტრო პროგრამის ტექნიკური ხარვეზებით.

შპს ასპ-გრუპის დირექტორი,

/-----


შპს ასპ-გრუპის მთავარი ბუღალტერი,

/-----
